

ე

ს

ტ

რ



საუოველ-გვირბო ლიტერატურული და მსატვრობითი გასეთი.

22 დეკემბერს

გ ა მ ო ო ც მ მ ა

№ 18

ქ ვ ი რ ა ო ზ ი თ

1885 წელსა.

ფასი „თეატრი“-ს წლით სუთი (5) მანეთი, ნასეკარ წლით სჰმი (3) მანეთი, სხვას ვადით სელის მოწერას არ მიიღება. ცალკე ნომერი „თეატრი“-სა ღირს სამი შაურა. სელის მოწერას მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და ქუთაისში მმ. ჭიდაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის აღრესი: Тифлисъ. Въ редакція „Театръ“.

ამ ნომერიან სელის-მომწერლებს ვგზავნებთ სერგვი მესხის სურათი.

საუოველ-გვირბო ლიტერატურული და მსატვრობითი გასეთი

„თეატრი“

მიიღება ხელის მოწერა 1886 წლისათვის

(წელიწადი მეორე)

პროგრამა და სიერცე ვაზეთი, „თეატრი“-სა იგივე ღარჩება, რაც 1885 წ. იყო.

„თეატრი“ გამოვა კვირაში ერთხელ, კვირბობით

ფასი „თეატრი“-სა: წლით როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე სელის მომწერთათვის ღირს სუთი (5) მანეთი ნასეკარის წლით—სამი (3) მანეთი სხვას ვადით სელის მოწერას არ მიიღება. მომავალ 1886 წლიდან ბაბაქი წამითელი დამოუკიდებელ მონაწილეობას მიიღება. ხელის მოწერა მიიღება „თეატრი“-ს რედაქციაში; აღრესი: Тифлисъ. Въ редакцію „Театръ“.

ქართული თეატრი

კვარსს, 22 დეკემბერს

ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ჭ ა მ ლ ე ტ ი

ღანიის პრინცი

ტრავედია 5 მოქ., თხზ. ვ. შექსპირისა თარგ.,
ა. შურცელაძისა.

ბილეტების ფასი ჩვეულებრივია

ღასაწყისი 8 საათზე.

ქართული თეატრი


ქირას, 15-ს დეკემბერს ქართულმა დასმა ოსტროვისკის ოთხ-მოქმედებიანი კომედია „ზზა დაკარგული ცხოვარნი“ წარმოადგინა. საერთოდ, ვისაც კი ერთი ფურცელიც არის წაუყითხავს რუსული დრამატული ლიტერატურაიდან, უმეტელოა, პირველადვე ამ ნიჭიერს დრამატურგს შეხედებოდა, რომელსაც ამ ასპარეზზედ მთელს რუსეთში პირველი ფართო აღილი უჭირავს. მს განლაეთ ის ფოტოგრაფი, რომელიც ნათლად და ცოცხლად გვიხატავს ყოველ გვარს ტიხს და რომელს სფერასაც იგი ეკუთვნის. თქვენ თვალწინ გიღვათ, რომელიმე «პამპადურია», ან მთარ-შიყე ახალ-გაზდა კაცი, რომლის ცხოვრების საგანს

ცქრიალა ქალთან აღერსობა შეადგენს, ამ გვარ პირთ თქვენ ბერს იცნობთ, იქნება წარმოდგენის დროს გვერდითაც გიზისთ და მეგობრულს მუსაფიში ხართ, მაგრამ იქამდისინ ვერ გავიცენიათ და ჯეროვანი ანალიზი არ გიქნიათ, რომ სრულიად გამოგეცნოთ იმისი შინაგანი მიმართულებანი. აი ეს თხზულება შენში ჰბადავს კრიტიკას, რომლის საშუალებითაც ანალოგიას უკეთებ მთელს საზოგადოებას და აგრეთვე თვითეულს ინდივიდუმს. აქ მაქცერალთა მოვალეობა ორს ნაწილად იყოფა: იგი ირონიულად დასცინის თავის წინ მდგომიარე ტიპს და იმავე დროს გულის სიღრმეობაში სხვა და სხვა გვარად შეფერილი მწუხარებანი ისადგურებენ, რომელნიც თეატრიდგან გამოსვლის შემდეგ, ხან ერთზედ უთითებ და ხან მეორეზედ, რომ ეს პირი იმ ტიპთაგანიაო და ჯეროვანს ყურადღებას აქცევ იმის ცხოვრების მიმდინარეობას. აი ამ თხზულებაში ერთი ცხოვრების სურათია გამოკრეფილი, რომელშიაც ორ-სამ ნაირს მიდრეკილების და მიმართულების ხასიათის მქონი საზოგადოებისაგან შესდგება. აქ თქვენა ხედავთ ხორცილთაც და სულითაც (პ. მოხევე) ლატაკს ბარონს პამპალურს, რომელიც მთელი დანარჩენი პამპალურების წარმომადგენელია.

მს პირი სრულიად ამ ქვეყანას აღარ ეკუთვნის, იმის ძარღვებში სისხლის მოძრაობა შემდგარა და მხოლოდ მაშინაალორმოძრაობა-ლა აქვს, ამისი მეუღლე ბარონესა ლილია (ქ. ანდრონიკაშვილისა), რომელიც ბებერი ხარივით, ახალ-გაზდა კაცებს დასდევს და როგორათაც თვითონ აქვს ყოველივე პატიოსანი ღირსებანი აყრილნი აგრეთვე თავის წყალობით სხვა-საც აუბედურებს, მაგალითად პოეტი ვიქტორის (ალექსევი-მესხიევი) ცოლს, რომელთ შუაშიაც განხეთქილება ვარდება. ვიქტორი დროთა ვითარების თანამომდინარე პოეტიცა, რომელიც იღვწის, შრომობს, მაგრამ ჯერ თავის ნიჭიერებაში, თვითონაც დარწმუნებული არ არის და გულ-ახსნით ვერ აცხადებს თავის გვარს ლიტერატურულს ასპარეზედ, ესე იგი ვიქტორი ნათესო მწერალთაგანი არ არის, როგორათაც ჩვენში. ლუბა ცოლ-ქრმობითი განხეთქილების შემდეგ—ცდილობს აჩვენოს თავის ქმარს, შურს გიგებო, მაგრამ თავის სინილისს კი შეურყვევლად ატარებს, თუმცა კკუაზედ კი შლის ცერცეტა ახალ-გაზდა მოარზიეე ფრანტს თავ. ძირგიზოვს (მ. აბაშიძე) და იქამდისინ მიჰყავს საბრალო, რამ თვითონვე დასცინის თავის სისულელეს და პანჩურ ამოკრული შინისკენ მიბრძანდება. რამოდენადაც ეს პიესა ნიჭიერად არის დაწერილი, იმოდენათვე უხვირო

ნათარგმნია და ზედაც რომ ის მოთამაშენი დაუმატოთ, ერთი სიტყვით ნამდელი ხელოვნების წამება; მაგრამ არ შეგვიძლიან ბ. აბაშიძეც ამ კატეგორიას მივაწეროთ, თუმცა კი იმანაც სუსტად იცოდა როლი. რაც დანარჩენ შეეხებათ ხომ მთელი წარმოდგენა სულ სუფლიორს უყურებდენ და თუ არ ის ნიჭიერი პირი სრულიად სცენიდგან გასარეკნი იყენენ, გარდა ბ. მაქსიმოძისა, რომელიც მამლის ყინვასავით ხან აიფხორებოდა და ხან თითქოს ყელში წაუჭირეს ისე ხრიტინებდა. მრთი სიტყვით, თუ არ კიდევ ბ. აბაშიძე სრულებით მაქცერალთ დაეძინებოდათ, მაგრამ კიდევ იმის გამოსვლაზედ გამოფხიზლდებოდენ ხოლმე. ამ უკანასკნელს წარმოდგენაზედ მეტად ცოტა ხალხი დაესწრო.

ა. კახთელი.



სარგზი მესხი

(სურათი)

სერგეი მესხი ერთი ღარიბი აზნაური ჩინოენიკის შვილი იყო. ის 1844 წ. ოქტომბრის თორმეტს იმერეთს, მკრიბის სოფელს რიონში (შუთაისილამ 7 ვერსტზე) დაიბადა. პირველი სწავლა ქართული წერაკითხვისა დედისაგანა ჰქონდა ნასწავლი, 1856 წ. იანვრის შეიღს—ათის წლისა შუთაისის გემნაზიაში მისცეს. მესამედე კლასილამ მისი კარგის სწავლისა და ბეჯითობისთვის სახელმწიფო ხარჯზე იზრდებოდა. 1863 წ. იენისში—18 წლისამ გემნაზია შეასრულა და სახელმწიფო ხარჯით ჰეტეაზურგის უნივერსიტეტში ძაეკასიის სტაჰენდიათ იქმნა დანიშნული; ოთხს წელიწადზე—1867 ბუნებითი საგნების ფაკულტეტი შეასრულა და აგვისტოს ნამდელიის სტუდენტის ხარისხით შუთაისში დაბრუნდა. ჩამოსვლის რამდენიმე თვის განმავლობაში სახელმწიფო ქონებათა გამგებლობაში სეკრეტრის თანამდებობას ასრულებდა და შემდეგ „ღროების“ რედაქტორად იყო მიწვეული, რომელსაც თოთხმეტი წელიწადი მართავდა.

მთუ ამ ხანში რამდენი შრომა და ჯაფა შეხვდა, რამდენი სიძნელე და დაბრკოლება უნდა აეცილებინა, ამის დაწერილებით თქმა შორს წაგვიყვანდა, არც ალაგი გვაძლევს ნებას და არც დაწერილებითი აღწერის სურვილი გეკონია, ჩვენ მხოლოდ სტატისტიკურს ცნობებს ჩამოეთვლით ამ ყოველად პატივსაცემს პირზე, და დაწერილებანი კი მისი ბიოგრაფისთვის მიგეინდვია, მაგრამ არ შეგვიძლიან, ისე

თი უგრძობლობა გამოვიჩინოთ და ორიოდ სიტყვა არ ჩაუროთ ამ სტატისტიკურს ცნობებს.

წარმოიდგინეთ ქაბუკი ჩაბმული იმ საძნელო უღელში, როგორც რედაქტორობაა, — მერე რა დროს, მაშინ როდესაც ერთი რიგიანი ზურგის მიმცემი, მხარის დამჭერი არა ჰყენდა და თერამეტის წლის განმავლობაში მთელი ვაზეთის ფურცლების ავსება, კორექტურის სწორება, შიში, რომ ვაი თუ ქალაქის ფული დამაკლდესო, ზრუნვა, რითი მიიზიდოს ხალხი, რითი გაუხსნას კითხვის სურვილი ერთმა კაცმა, ერთმა მუშაკმა და დრო-გამოშვებით მომუშავემ კი არა, ყოველ დღეს, ყოველ საათს და წუთს ამ ჯაფაში მყოფმა, წარმოიდგინეთ და მაშინ გაიგებთ რა მავარი ავებულებისა, რა სულის ძალით უნდა ყოფილიყო საცემ განსვენებული სერგეი მესხი, რომ ესენი ავსრულდებინა.

ბკეთ სხვა და სხვა გარემოების ხელის შეშლა, იქით კარს-მოდგომილი ასოს ამწკობები და სხვა ფულის მოხონელები და ყველას დაკმაყოფილება, თავის სახლის უკანასკნელი ნივთის დაგირაება ამ დაკმაყოფილებისთვის; თავის დამცირება, გულში ანთებული სიბრაზის შეკალება, აძლენი ვაი-ვაგლახის მოთმინებით ატანა... და მაინც კიდევ არა სტოგებდა, სულით არ ეცემოდა და არცა დაეცა, ვიდრე ფიზიკურმა მოშლამ თავი არ დაანებებინა ამ თავის საყვარელს შრომას.

შუანასკნელ წუთამდის არ დაცემულა სულით, მაინც კიდევ შრომის გავრძელების იმედი ჰქონდა, იმ შრომისა, რომელმაც დააუძლურა, ტანში მოშალა და სამარის კარამდე მიიყვანა და რომელიც მატერიალურის მხრით არაფრით არ აჯილდოებდა.

ჰკითხეთ, რომელიც ერთხელაც არის დალაპარაკებია, შედით სტამბაში და თვით ამწყობებისაგან, ამ გაუნათლებელი ხალხისაგან გაიგონებთ ამ რედაქტორის იდეალის ლოცვას... მაგრამ დაუბრუნდეთ ისევ სტატისტიკურს ცნობებს.

1883 წლის დამდეგიდან ზეცლება, სისუსტე და მკლავების ხუთჯა თან-და-თან გაუძლიერდა, შემდეგ არულიად ვეღარ შეიძლო მუშაობა. აპრილის 29-დამ იძულებული იყო ვაზეთის გამოცემა შეეყენებინა და მისის 12-ს შუთაისს გაემგზავრა. იენისის დამდეგს ოზილისის ექიმების რჩევით აბასთუმანს წავიდა. აბასთუმანში 20 ივლისამდე ზეზე იყო, თუმცა მკლავისა და ბეჭის ტკივილები არ შესდგამია. ექიმების აზრით მისი ავად-მყოფობა ანევიზმში იყო, ხუთის წლის წინდ დამართვიყო და მისი მორჩენა აღარ შეიძლებოდა. 20 ივლის ლოგინში ჩაწვა, რადგანაც ხელება

და ნერწყვთან სისხლის ამოსვლა დააწყებინა. 21 იენისის, ნასადილევს ძალიან წამოახველა და საშინელი ტკივილები იგრძნო. ბულში რალაცა გამისქდა, წამოიძახა. მეორე წამოხველებაზე, მეოთხე საათის ნახევარზე თავისი ტანჯული სული უფალს ჩააბარა.

აბასთუმნიდამ ცხედარი შუთაისს წაიღეს, სადაც მერე 24 ივლისს წირვა და პანაშვილი გადაუხადეს. მეორე დღეს, 25-ს მისვენეს რიონს და იქ დასაუკლავეს. ქველგან საზოგადოება პატივისცემით მიეგება, მრავალი გვირგვინები მიაგება და რამდენიმე გულ-მხურვალე სიტყვა წარმოსთქვა.

ასე კი გათავდა ამ პატივცემული გვამის სილოცვლე და მოღვაწეობა.

საუკუნოდ იყავნ სახსენებელი მისი!

Z.

მ გ ო ს ა ნ ი



ალალი ხევის გაღმა გამოღმა ბრძობის ამრევი ისმის ჩანგის ხმა... ნეტავ ვინ არის ის გულ-მოკლული, რომ ჩანგს დაჰკენესის შეშფოთებული?

* *

სიმები ქლერენ და მათში ენება ჟრმა მგოსანისა დაიხატება... ნეტავ ბეჩავს რა წაჰკიდებია, ბული ესრე რად უწამებია?

* *

ნუ თუ იცნო მან სოფლის მუხთლობა მისი ავი ზნე და ბინძურობა? ანუ საბრალოს ტრფობის ისრები ბულსა ეტყორცენ; ჰმატეს წყლულები?

* *

ნუ თუ ამ ქვეყნად იმას ყოველი ამოაწყვეტია ნუგემ მცემელი, და სიქაბუკის ნათელ იმედებს შეურაცხყოფს და აღარ იგონებს?

* *

პასუხს ნუ ელი. ჩანგის სიმები ქლერენ სეედის ხმებს მომჯადოებები და ჩაგახიან, რომ მგოსნის გული ბნელეთია და თვით ზღვა უფსკრული.

ბ. ალისუბნელი.

ზამთარი

ტურფა ზაფხული მეფობდა,
შთა-ბარით ამწვანებული,
ქველას სვე-ბედი უღიმდა,
შხტოდათ, უღელდათ გული.

ძაცს საარშიყოლ, სატრფობლად
სისხლს უღუღებდა ძარღვებში,
და გაისმოდა ტკბილს ღზინთან
ტკბილი ღუღუყი ბაღებში.

წამოგებარა ქურდულად
ბულ-ჩახურული ზამთარი...
და მოგვაყარა ანაზად
თოვლი, ყინვა და ავღარი.

ძნელია, ძნელი—ყინვები,
ბუნება გულზედ კაცს გგერის ჯავრს...
მაგრამ წყეული სიცივე
ღიღსა ხანს ვეღარ დაგეტანჯავს!..

ა. ა.

გუჯინი თ. აბ. წ.

18-12-190

ბულბულის მტერი გველია,
მარდას უწამლავს შხამითა,
მაგრამ ის იმით არ შიშობს,
ზედ დასტრფის ღღე და ღამითა.

* *

პოეტსა მღერას ვერ უშლის
მტერი ავ თვალთ მბღვერაჲი,
მერცა მუქარა ვისიმე
სოფიან მგლურად მღრენაჲი!..

ბ...

თმატრი და მსახიობნი.

მკელა, საშუალო და ხსალი დროისა
(შემდეგი *)

ათას სამას ოც-და-ერთს, პირველად გამოაცხადეს აფიშებზედ ავტორის სახელი (Pyrame et Thisbe) თხზ. მერესი; მხოლოდ მსახიობის სახელი და

*) იხილე „თეატრი“ № 15.

გვარი კი XVIII-ე საუკუნის დამლევს. მადგინდა თეატრი და კონკურენცია დაიბადა «olu Maraisz»-ის და ბურგანიელის დასების შორის; ბურგუნდიელს თეატრში დედოფლის ტრუბა თამაშობდა ათას სამას ოცდა ხუთში ბელგელოზის დირექტორობით, მხოლოდ «olu Maraisz»-ის თეატრში კი ბალეტმან ღერეო იყო. შკანასკნელის სიტყვით, ეს შემოყვანილი პირნი მსახიობნი ყოფილან და არა მცირედი ადგილი სჭერიათ თავიანთ თანამედროვე თეატრალურს ხელოვნებაში. შფრო პროგრესიულად დაიწყო მიმდინარეობა, როდესაც გრაფ ბელანმა ხელი მოჰკიდა. ბრაფი უკვეთავდა სხვა-და-სხვა დრამატიულს თხზულებებს მონდარს, რომელსაც პიეტის წერის ნიქიცა ჰქონდა. აგრეთვე შესანიშნავი მსახიობნი იყვნენ ლენური და იმისი ცოლი. მს ორივე შემოყვანილი მსახიობნი კომიკები იყვნენ. ღიდი ხნობით ესენი თეატრის დამამშვენებლად ითვლებოდენ, მხოლოდ ათას-სამას ოც-და-ექვსში კარდინალ რიშელიეს უბრძანა, რომ ორივე ტრუბები ერთად შეერთებულიყო. რობერტ ბორემი მეტად კომიკურის გარეგანის შეხედულობისა იყო, საშინელი სქელი, რომელსაც ცხერის ოდენა მუცელი წინ ჩამოკიდებული ჰქონდა და ღიდრონის თასმებით თეძობზედ აკრული. ამისთანა აგებულებას, რომ ზედ დაუმატოთ კომიკური ჩაცმულობა და გრიმ-როცა, ერთის სიტყვით პირველსავე შეხედვებზედ კაცი სიცილს ვერ შეიმარებდა ისეთი მასხარა შეხედულებისა იყო და რაც უნდა დაღერემილი კაცი ყოფილიყო, მაინც პირზედ ღიმილს მოჰკვირიდა; ამიტომაც მეტი სახელი უწოდეს, «სქელი გილომი». ბოტიე მარგილი (ნამდვილი სახელი ბიუგგერი იყო) იმოდენად გამხდარი აგებულებისა იყო, რამდენადაც ბილომი სქელი და ჯმუხი; მარგილი ფარსებში მოხუცებულების როლს საკურველად თამაშობდა. იმის გამოსვლა და პუბლიკის სიცილით ჩაბჭირება ერთი იყო; ისე ნაბიჯს არ გადასდგამდა, რომ ხალხს არ გაცენინა. იმის ტანსაცმელს შეადგენდა მოკლე კურტკა, კომიკური ქუდი, და ხელში ღიდი კეტი, ამ კასტუმში ყველა ნაირს როლებს ასრულებდა და პირზედ მსკას იკეთებდა, როგორათაც ტიურლიუჟენი ანუ ლეგრანი, უკანასკნელად, როდესაც შესანიშნავის როლების თამაშობა დაიწყო ბელგეელი დიარქო; მსხვილმა ბილომმაც მაგისტანავე შემთხვევებში ლაფლერი დიარქო; ბოტიე მარგილმა კი შლეშელემი. ისა სწერდა სასაცილო პროლოგებსა და სპეკტაკოი ყოველთვის იმითი იწყობოდა, და ამისავე ავტორის საოხუნჯო სიმღერებით თავდებოდა წარმოდგენა. ღელორიც საოხუნჯო პროლოგებსა სწერდა ბოტრგუნდის ტრუბისათვის; რომელიც მოედანზედ წარმო-



გენებს მართავდა ჭან-შარინოს ამხანაგობით; შემდეგ თავის მოღვაწეობა ტულუხში გადმოიტანა. დელორიე თავის პროლოგებში პუბლიკას მეტად დაურიდებლად მართავდა.

ნიმუშად მოგვყავს იმის პროლოგიდგან რამოდენიმე სიტყვა: „რას დასვირნებთ? თუ წარმოდგენა არ მოგწონთ, საითაც გნებავთ იქით მიბრძანდით, ხელს არაინ გიჭერთ? მეც ვე მინდა! რატომ დასასრულამდის აქ არა რჩებით, რომ ერთი ლაზათიანად შეგამკოთ და თქვენს სისულელეს დაეცინო?“

იმ დროს, როდესაც ბურგუნდიის ტრუბიდგან, რამოდენიმე ნიჭიერი კომიკური მსახიობნი მოემატნენ, რასაკურევლია იტალიელებმა მსახიობმა მნიშვნელობა დაკარგეს, რომელნიც საფრანგეთის ამხანაგობით თამაშობდნენ. ახალგაზდა მეფემ ლიულაოვიკო მეთორმეტემ, უპირატესობა ბურგუნდიელთ მისცა, მხოლოდ იმისი დედა დედოფალი კი უფრო იტალიელებს შემწეობდა. ათას სამას ოც-და-ცხრაში რუანიდგან პარიჟში მოვიდა პიერ ძარნელი, რომელსაც თეატრალურს ასპარეზზედ პირველი ადგილი ეჭირა, ათას ექვსას ოც-და-თექვსმეტში, როდესაც პირველად გამოვიდა იმის «სიე», რომელსაც ტიპები ისპანიელი პიესე ბიდგანა ჰქონდა ამოკრეფილი.

მე XVI-ე საუკუნეში გამოჩენილმა დრამატიულმა მწერალმა ისპანია დაავიროგინა, სრულიად თავისუფლად სწერდა და აღარავის მიბაძეა აღარ ემჩინეოდა.

ლოპე დე-რუედა, საკუთარს წარმოდგენებს აღევდა ათასხუთასს ორმოც-და-ოთხიდგან, ვიდრე ათას ხუთას სამოც-და ხუთს წლამდის. ისპანიისათვის ეს თეატრალური ეპოქა მეტად შესანიშნავია, როგორც ნიჭიერის მსახიობებით, აგრეთვე დრამატიული თხზულებების მწერლებით. თეატრის მორთულობას და საკუთრებას შემდეგი ნიეთები შეადგენდა: ერთი დიდი პარკი, რომელშიაც სამი ტყავის კუმეტკა თავსდებოდა, რომელნიც ოქროს ვარაყიანით მორთული იყენენ, ოთხი წვერი, ოთხი სხვა და სხვა ნაირი პარიკები, შეიძლება ამაზედ მეტიც იყო და ნაკლებიც. სცენა მორთული იყო ამ გვარად: ოთხი სკამიკა, რომელიც ოთხს კუთხიანს ფიცარს წარმოადგენდა, ამაზედ მიკრული იყო ოთხი ან ექვსი ფიცარი, რომელიც ცოტათი მიწაზედ ზევით მაღლდებოდა... თეატრი მორთული იყო ძველის სამოსელით, და უკანაც მუსიკანტები ისხდნენ, რომლებიც უკომპანიმენტოდ მღეროდნენ და უკრავდნენ ძველს რომანსებს. ათას ხუთას სამოც-და-რვაში დაიბადა დრამატიული საზოგადოება მადრიდში, რომელმაც ახალი თეატრი

ააშენა; რასაკვირველია, თეატრის აშენების შემდეგ იმათი საქმე პროგრესიულად წავიდა და არც ერთს ევროპიულს ტრუპას იმასთან კონკურენციის გაკეთება არ შეეძლო. მართლაცა და ამ ტრუპას პირველი ფართო ადგილი ეჭირა, ბოლოს კი ორივენი ერთად შეკავშირდნენ.

შემოსავლიდგან რამოდენიმე ნაწილს ღარიბ მოქალაქეთ უნაწილებდნენ; ათას ხუთას სამოც-და-ოთხმეტი მადრიდში შილიზ მეორემ, წარმოდგენა მიაკვინა, რომელშიაც თვითონაც დაესწრო. ისპანიელმა დრამატიულმა საზოგადოებამ იტალიელებს ქვიტკიორის თეატრი აუშენეს (corra); ალბერტ მარონიმ, თეატრი 10 წლით ქირით აიღო, რომელსაც ექვსი ათასი რეალი უნდა გადაეხადა; გარდა ამისა ორი წარმოდგენა უნდა მიეცა, რომლის შემოსავლით თეატრის აშენების დროს დადებული ვალი უნდა გადაეხადა და ყოველ წლივ ათი რეალი უნდა ერიცხნათ ანტრეპრენიორისთვის. ანტრეპრენიორს უფლება არა ჰქონდა სამოცზედ ნაკლები წარმოდგენა მიეცა წელიწადში, თეატრის შენობა ბანით იყო დახურული, მხოლოდ პარტერი-კი (passio) უამინდობის დროს, უბრალოს მიტკლით იყო ჩამოფარებული, პარტერში მდებალი წოდების ხალხი სხდებოდა. ამ ც...-ს და მყვირალა უბრალო წოდების საზოგადოებას, რომლებსაც სკამები არა ჰქონდათ, რომ დამსხდარიყენენ, უფრო მხიარულად ატარებდნენ დროს: ბოლოს არისტოკრატიულმა საზოგადოებამ «თითბრის ფერჩატკი» უწოდა მათ. ლოპე დე მეგას დროს ბალკონი და ლოჟებიც მოუმატეს. ბალკონი, ლოჟები ერთად პარტერთან შეერთებული იყენენ. საშინელი ყვირილი და უწყსოება ხდებოდა ხოლომე პარტერში, მხოლოდ ლოჟაში და ბალკონზედ სიჩუმე იყო, რადგანაც მეტი ნაწილი განათლებული საზოგადოება იქ იმყოფებოდა. როდესაც პარტერი უკმაყოფილო იყო მოთამაშეებზედ, ბევრჯელ კიტრს და სხვა ნაირს ხილს ესროდნენ ხოლომე მსახიობთ. ბევრჯელ მომხდარა იმისთანა მაგალითი, რომ პოლიციის ჩინოვნიკს წარმოდგენა შეუყენებია იმათ დამშვიდებამდისინ.

(დასასრული შემდეგ ნომერში)



თამარ ცხიპრი

(ერთი სცენა)

გამოსვლა მქსამე

ისინივე და მგოსანი (შემოდის მეფე თავ-ჩადუნული საზოგადო სიჩუმეა.)

მგოსანა

აქა მშვილობა!

მეფე

წინ წამოდექი,

იცი რად გინმეთ?

მგოსანი

რა მოგახსენოთ?

სახლთ ხუცესა (ქუთათურს მსა-
ჯულთ უხუცესს)

რაც რომ სამსჯავრომ გადაუწყვიტა,
რიგი თქვენია უნდა უბრძანოთ.

მგოსანი

შეტყობილი მაქვს, საპრობილეში
მე სირას სიტყვებს მოკარი ყური (მწარე ღიმი-
ლით)

მსაჯულთ სიკვდილი გადამიწყვიტეს
და მეფემაც ზედ დართო დასტური.

მსაჯ. უხუც. ქუთ.

ღიახ, რადგანაც უმეტესობამ
ზიციო ქვეყნის და მეფის ორ-გულად.

მგოსანი (განხსნუბით)

მინც ვგ იფიქრა ჩემზედ, ეტყობა,
რომ ის ჭკუაზედ შემტდარა სრულად.

მსაჯ. უხუც. ქუთ.

როგორ! არა გაქვს დანაშაული
და ხმა ერისა ცრულ ლაღადებდა,
როდესაც ის შენ შეურაცხყოფილს
სასიკვდილო ბრალს თავზე გადებდა?

მგოსანი

თუ ისე მკითხავთ ვით სასიკვდილოდ
გამზადებულებს მათი მოძღვარი,
მარტოობაა მაშინ საჭირო

და მოწმედ მხოლოდ თვით მაცხოვარი.

და თუ პასუხს მთხოვთ, როგორც მსაჯული,

გვიანდა არის გასამართლება,

რალა ერთხელ-კი დამნაშავედ მტენეს

და მათ მეფემაც ზედ დართო ნება,

სიკვდილი მეღის გადაწყვეტილი,

ქვეშირი ჩემი საქვეყნიერო;

არვისთან რა მაქვს თავ-შესაწყენი,

სასაყვედურო ან საპირფერო.

მეფე

ძარგი, არ გკითხავ; რაც იყო, იყო,

სულ სხვა რამეზედ აქ მოგიწოდეთ:

შკანასკნელი შენი სურვილი

შეგვატყობინე, გვიანდა ვიცოდეთ.

მგოსანი

ბძანეთ.

მეფე

როდესაც ბაგრატის ტახტი

ჩვენ დაემკვიდრეთ და ჩვენ ვიტვირთეთ,

მეფურსა ჩვენს მოვალეობას

იმისი ვალიც ზედვე დაუბრთეთ.

როგორც გვიამბო ღღეს ქუთათელმა

და ჩვენ თავადაც გავგივონია,

ბაგრატისაგან სავალდებულო

აღთქმული რამე თურმე გქონია.

ის დაპირება ჩვენზედ გადმოღის,

ღღეს ჩვენ ხელთ არის იგივე უფლება,

და გეთხოვე რაც გსურს მეფური სიტყვა

პრობელ ნათქვამი არ შეიშლება. (სიჩუქეს. მგო-
სანი სმას არ იღებს)

მსაჯ. უხუც. ქუთათ. (მგოსანს)

რაც მოგანიჭეს, ვერ გაიგონე,

ხომ გესმის მეფე რასაც გიბრძანებს?

(მგოსანი სმას არ იღებს)

მასხარა

რატომ არ ითხოვს თავისუფლებას,

ნეტავ ვიცოდე, რას აგვიანებს?

მეფე

ითხოვე რაც გსურს! ჩვენ მოვალე ვართ,

რომ შევასრულოთ ის შენი ნება.

მგოსანი (სანგრძლივი აღუფიქრებლად
შეძებ)

მაშ ვითხოვე, მეფე, სირას ნუ დასჯი,

იმას არა აქვს დანაშაული,

მე მოვამზადე ის სალაღატოდ

მე აუღელევე უმანკო გული (ყველა შეკრთება).

მსაჯ. უხუც. ქუთ. (თავისთვის)

რა სთქვა?

სახლთ ხუცესი.

რას ამბობს?

მასხარა

ბაგიყდა სწორედ!

მეფე

ღალატე?

მგოსანი

ღიახ, მეც იქ ვერიე,

გამოვტყუნილვარ, ვამბობ მეორედ...

მეფე

ნუ თუ შენც...

მგოსანი

ღიახ, მაგით გვიანდა

შბრალოდ ტანჯულთ წამოყენება,
მაგრამ არ მოხდა და ჩემზედ აწკი
აღსრულდეს შენი ძალი და ნება!

მეფე (დადისნის სიხუძის შემდეგ)

მაინც ვერ გასტეხთ ჩვენს მეფურს სიტყვას,
თუ ითხოვ, ეგვეც გეპატიება.

მგოსანი

მე მხოლოდ ვითხოვ უფლების ძალით,
შბრალოდ სირა ნუ დაისჯება.

მეფე

შენ მხოლოდ შენთვის უნდა ითხოვო,
სხვის შესახებ-კი არ შეიძლება.

მგოსანი

არა, მეფეო, უარს ვერ მეტყვიო,
მონიჭებული მაქვს ეგ უფლება

სახლო სუგესო

ბი, მაგრამ შენთვის ველარას ითხოვ.

მგოსანი

მე ჩემთვის რა მაქვს აქ სათხოვარი,
შმჯობესია, რომ მოკვდეს კაცი,
მიღრე სტოცხლობდეს ვით ცოცხალ-მკვდარი.
ჰკუთით ურწმუნო და გრძობით უნდო,
ბულ გატეხილი რაღა კაცია:
ძაცს მაშინ შეენის ქვეყნად არსება,
თუ ცხოვრებაში ის მამაცია.

მეფე

მითხარი მაინც, შენში რამ აღძრა
მაგ-გვარი სასო-წარკვეთილება?

მგოსანი (ნაღვლიანის დიმიდით)

იმანეე, რამაც სხვებს გაუღვიძა
სხვის საბოროტო კმაყოფილება.
ჰაბუკობიდან მე გულში მელდა
ერთი ანდერძი, ერთი იმედი,
ჩემი სულის დგმა და ჩემი ბედი!

(მგოსანი შესხურებას მეფეს)

ამ ტკბილ ოცნების და წრფელ ძრახვების
ორი სხეც მყვანდა თან-მოაზრე;
თეით ბურიელი, დიდი მთავარი
და ჯუმათელი, სჯულის სიმდიდრე.
თვალწინ მესატვის მაღალი გორა,
ზედ აგებული წმინდა ტაძარი
და იმის გვერდით თავ-მოწონებით
შტოვებ-გაშლილი დიდი ქადარი.
იქ, იმ ქადრის ქვეშ, სამივეს ერთად
საქვეყნო ბეგრი რამ გვიჩვენია
და სამშობლოზედ გულ-აჩვილებულს

სრემლებიც ერთად დაგვიფრქვევია,
ასე ვფიქრობდით: ჩვენ მივეშველოთ,
და ხელ მივაწვდენთ ძმურად მართლ-ძახეთს
შაპ-აბაზისგან აოხრებულსო.

მხოლოდ იმისთვის, გმირმა მთავარმა
სჯული გასტეხა და იქორწილა
და ცოდვა მისი საშვილიშვილო
თანა-მძრახველებს გაუნაწილა.

მეფე (წყენით)

ნამეტანს ამბობ, ნუ დაივიწყებ,
მოთმინებასაც რომ აქვს საზღვარი.

მსაჯ. უხუც. ქუთ. (მგოსანს)

შადგილოა და უსარგებლო
მე მოგონება და საუბარი.


მგოსანი

რალათ დავფარო, ვის მოვერიდო,
მე სასიკვდილოდ გამზადებული;
საიდუმლო ხმა მალაპარაკებს
და ეს ხმა არის ჯუმათლის სული.
ის მოკვდა თუმც-კი სული აქ ბრუნავს,
საქართველოსთვის თავ-განაწირი.
მეფე აღარ ჰგავს პირვანდელ მთავარს
და მე რაღა ვარ ამ ქვეყნად შწირი,
რომ მოკვდე მიჯობს, სასო-წარკვეთილს
თავი არ მიღირს არცა ერთ ჩალად,
ნეტავი სხვებსაც არ უყურებდე
სხვის ყურ-მოჭრილ ყმად და მაჩანჩალად.

(მეფე შეიჭმუსუნება)

წავალ მიემართავ იმ წინაპართ გუნდს,
სამშობლოს მსხვერპლად რომ შეწირულან,
და თუმც საფლავიც არ ღირსებით,
მაგრამ ჩვენს გულში-კი დამარხულან...
მეც ერთად მათთან, თუ ღირსი გავხდი,
სრემლებს გადმოვყრი სამქვეყნო ძღვენად,
რომ ის სრემლები აქ დანთხულებს სისხლს,
წმინდად დაერთოს ციურ მანანად.
და აღმოსცენდეს მით საარსებო,
საზრდო რამ ჩვენის შვილის-შვილების,
რომ ისინიც-კი წმინდად მიმღები,
იმსჯელებოდენ წინა-პრებსავით,
მათი სამშობლოს სადიდებლად
და ღვაწლი მათი საშვილის-შვილოდ
ზადასცემოდეთ საგალობელად. (სიხუძე)
მშვიდობით, მეფე! შენ აქ ღარჩები,
სამეფო ტახტზედ მონად მჯდომარე,
მე-კი მეფურად შევხედები სიკვდილს,
ღარბაზის ნაცვლად მელის სამარე!

საგბო.



ახალი ამბები

◆ იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა აკაკი წერეთლის ოთხ-მოქმედებიანი ისტორიული დრამა «თამარ ცბიერი». ჭარბული დასიც ამზადებს ამავე დრამას და ჩქარა წარმოადგენს.

◆ ამ დღეებში დაიბეჭდება და გამოვა საყმაწვილო სურათებიანი წიგნი: პატარა ბავშვების საჩუქარი შალვას თავ-გადასავალი, პ. ცახელიძის; ეს წიგნი გამოიცემა საშობაოდ—მლისაბედა ტატიშვილისაგან, სურათები დახატულია პეტერბურგში ი. პანოვისაგან და ხეზე ამოჭრილი ბრ. ტატიშვილისაგან. სულ 33 სურათს შეიცავს.



ც ა რ მ ე ნ ი

აფორიზმები, ანექდოტები და ზრახტიკული წყევანი

— მოთმანება არის გაღვაწი ჭკუა-გონებისა ღვამი ცუდის ფიქრებისა და სულის ძალა და საძირკველი ჭკელ-მოქმედებისა.

— როგორც ჩაღუფს უფრო მალე სწავს ცუცხლი, ვიდრე სასახლეს, ისე თავ-მოყვარება უფრო ადვილად იპურბოს სუსტს, ვიდრე ძლიერს.

— საიდუმლოს შესახვის საუკეთესო საშუალება მისი დავიწყებაა.

— არიან ისეთნი პირნი, რომელნიც მარტობას ვერ იტანენ; ისინი სშირად უშლიან მათ, ვინც საჭმეს ადვიან.

— თავის სადიდესედ ჭკუა და პირის სიგანესედ მჭკვერ-მეტყველება არ გაისინჯება.

— შრომა და სწავლა ერთმანერთის ახლო შეგობრები არიან: ვინც პირველს არა სცნობს—მეორესაც ვერ შეიძენს.

— შრომა კაცს დანიშნულებას, უმიხოდ მას მნიშვნელობა არა აქვს, ის ვერაფერს სელს ვერ მოაჭიდებს, ვერაფერს სისრულეში ვერ მოიყვანს; უმიხოდ ის არაა.

— ცხოვრება ახალ-გაზრდობის ოცნებას, რომელიც სისრულეში მოხუცებას მოაჭყებს.

— ქალი ემზავებას საათს, რადგან შედეგ ოცდასუთის წლისა ის ეკლაფერს უკან წახება.

— მეგობრობა უფროთა სიყვარულია.

— წამალი ბუნებრივების სუძრობას ბუნებასთან.

— როდესაც ორი ქალი ერთმანერთს ესაუბრებიან, — მესამეს უთუოდ ცუდად ისწენიებენ, და როდესაც ორი კაცი მუსაიფობენ—ერთმანერთს აჭებენ.

— ვილაც ამერიკელი სოფელის სახლის წინ, დერეთანში ქვასედ ამოჭრილი თურმე იყო სიტყვა „სიმაართლე“; ერთმა ვილაცმა, რომელსაც ის იყო სასამართლოში მართალი საქმე წაუგო, გაიარა, შეამჩნია ქვასედ ეს წარწერა, დიდის მოწიწებით მოისადა ქუდა და სთქვა: „მე დიდი ხანია გავიგე, რომ სიმაართლე მოკვდა, მაგრამ დღემდის ის კი არ ვიცოდი, სად იყო ის დასაფლავებულიო.“

— მითხართ, თუ ღმერთი გრწამსთ, რა გახუქოთ

მე თქვენ ჩემდა სასოვრად?—ჭკიოსა საქმრომ თავის დანიშნულს.

— თქვენ გინდათ, რომ იმ სახუქრის შეხედვასედ ყოველთვის მოგიგონოთ—მიუგო დანიშნულმა — მაიმუნი მახუქეთ!

— ქალს მის წლოვანებასედ ნურასოდეს ნუ ჭკიოსავ.

— შოლიციელთან სუძრობას თავი დაანებე.

— ჭკრივ ქალთან ნარდას ნუ ითამაშებ.

— იუჯ ლაქურა და ზრდილი მდიდარ ნათესავებთან.

— როდესაც სადმე წვეულად, ან კრებასედ მიდიხარ—რომელიც უფრო ძველი ქუდი გქონდეს, ის წაიღე.

— სადილსედ მასპინძელს ნუ მოშორდები.

— ნდობას ნუ დაჭკრავ.

— რასაც ვერ შესძლებ—ნუ იკისრებ.

— შინაურობას მშვიდობიანად გამოირდი.

— სხვის მწუხარებას სასატლოდ ნუ გახდი.

— შენს თავს გამოად ნუ მოისწენებ.

— ზრდილობის კითხვასედ ზრდილობიანი პასუხი მიეცი.

— თუ ვისმეს რამე ახუქო, ან სამსახური გაუწიო, საიდუმლოდ შეინახე.

— ურიგო საზოგადოებასთან დაახლოვებას მარტობას არჩიე.

— თუ ვინმე თავის საიდუმლო განდოს, ნუ გასცემ, თუ გინდ შედეგში იმ პირთან ნახსუბარც შეიქმნე.

— როდესაც გაჯერდები—მოიგონე ამ გაჯერების შედეგი.

— ეცადე ქალის კლანჭებში არ ჩავარდე.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 26 დეკემბერს.

ბ ე ნ ე ტ ი ს ი

ბ. მ. მინაროვისა

ქართული დრამატული დასისაგან წარმოადგენილი იქნება:

I

მ ზ ი ს დ ა ბ ნ ე ლ ე ბ ა

ორიგინალური კომედია 3 მოქ. თხზ. ზ. ანტონოვისა.

II

ბ ა ი უ უ ზ ი

კომედია ფარსი 2 მოქმედ., ა. ცაგარლის.

დასასრულ

ლ ე კ უ რ ი


რედაქტორი და გამომცემელი გ. აბაშიძე.

Ե Ա Ե Ա Ե Ա Ե Ա Ե Ա Ե Ա Ե Ա Ե Ա Ե Ա

Ինքնընտրված և իշխան Կոմիտե

Ե Ա Ե Ա - ժողովրդական և քաղաքացիական ճարտարագիտական

Ե Ա Ե Ա. Մ. Կ. Կոմիտեի



Կոմիտեի Ե Ա Ե Ա ժողովրդական և քաղաքացիական ճարտարագիտական Ե Ա Ե Ա ժողովրդական և քաղաքացիական ճարտարագիտական

Ե Ա Ե Ա ժողովրդական և քաղաքացիական ճարտարագիտական

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1886 ГОДЪ
НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ АРМЯНСКИЙ ЖУРНАЛЪ
„ А Г Б Ю Р Ъ “
(4-й ГОДЪ ИЗДАНИЯ)
(въ годъ 12 номеровъ)
ПРОГРАММА
Отдѣль 1-й

- I Повѣсти, рассказы, сказки, путешеств., биографіи, поэмъ, эпизоды.
- II Сихотворенія.
- III Наука и искусство.
- IV Смѣсь.
- V Мелочи.
- VI Дѣтскія, педагогическія, шахматныя и другія игры, ребусы, математическія задачи, анекдоты, загадки, поговорки, пословицы.
- VII Пѣсни съ нотами.

Отдѣль 2-й

- VIII Статьи, касающіяся воспитанія и обученія дѣтей
- IX Прозы и совѣты.
- X Библиографія.
- XI Смѣсь
- XII Отвѣты и объявленія

Второй отдѣлъ будетъ издаваться отдѣльно въ годъ, четыре раза; годовые подписчики получаютъ двѣ преміи: въ іюль и въ декабрь; а подписавшіеся до 1-го декабря съ январскимъ номеромъ получаютъ третью бесплатную премію

Первая премія: Совѣщательная палата въ столицѣ Ани при царяхъ Армянскихъ изъ династіи Багратуни. Размѣръ картины одинъ аршинъ. Вторая премія: Карта Арменіи. Третья премія: „Храма Пастуха“ въ столицѣ Ани. Размѣръ картины полтара аршина

Годовая цѣна „АГБЮРА“ 3 рубля, за полгода 2 руб., отдѣльные номера 50 коп.

Адресъ: Тифлисъ, Редакція „АГБЮРЪ“ а изъ заграницы. Tifflis (Caucase) Rédaction du journal „Agbur“

Редакторъ-издатель Г. Я. Казаріанъ.

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА 1886 ГОДЪ

На армянскую ежедневную политико-литературную газету



III-й ГОДЪ ИЗДАНИЯ

Газета 1886 году будетъ выходить по пре-

Տ Ե Ա Ե Ա

Մեղի ժամանակ

Ե Ա Ե Ա ժողովրդական և քաղաքացիական ճարտարագիտական

Ե Ա Ե Ա ժողովրդական և քաղաքացիական ճարտարագիտական

Ե Ա Ե Ա ժողովրդական և քաղաքացիական ճարտարագիտական

Ե Ա Ե Ա ժողովրդական և քաղաքացիական ճարտարագիտական

жней программѣ. Подписная цѣна съ доставкою и пересылкою: на годъ 10 р., на 6 мѣсяцевъ 6 р., на 3 мѣсяца 3 р. 50 к., на 1 мѣсяць 1 р. 50 коп.

Подписка принимается съ 1-го числа каждаго мѣсяца.

Подписка и объявленія (по 2 коп. за слово на всѣхъ языкахъ и съ переводомъ на армянскій) принимаются исключительно въ конторѣ редакціи „НОРЪ-ДАРЪ“

Редакція „НОРЪ-ДАРЪ“ помѣщается за почтою на Троицкой улицѣ, противъ Троицкой церкви, д. № 9.

Иногородные адресуются: Тифлисъ, въ редакцію „НОРЪ-ДАРЪ“.

Редакторъ-Издатель С. Спандарьянъ
(3—1)

„Մ Ղ Ա Վ“

ԳՐԱԿԱՆԱԿԱՆ ԵՒ ՔԱՂԱՔԱՍԿԱՆ
ԼՐԱԳԻՐ

ԱՐԱՋԻԿԱՅ 1886 ԹԻԻՅ

Կը Հրատարակի թիֆլիսում նոյն պրոգրամայով. „ՄՇԱԿԻ“ տարեկան դինը 10 ռուբլ է, վեց ամսականը 6 ռուբլ

Գրվել „ՄՇԱԿԻՆ“ կարելի է ԽՄԲԱ-ԳՐԱՏԱՆԸ ԵՆ Պ. ՇԱՎԵՐԴՕՎԻ պալիլիօնում: Խմբագրատունը գտնվում է Բարոնակի եւ Բազարնի փողոցի անկիւնում: Թամաճեկի տանը, № 12 բնակարանում: Ուղղակի մուտքը Բազարնի փողոցից:

Խմբագրատունը բաց է ԱՄԵՆ ՕՐ առաւօտեան 10—2 ժամ, իսկ ԿԻՐԱԿԻ օրերը 10—12 ժամ:

Կայսերութեան ուրիշ քաղաքներէից դիմումեն այս հասցէով: Եւ Թիֆլիս. Բեդակցի „ՄՍԻԱԿՆ“:

Խմբագիր Հրատարակող ԳՐԻԳՈՐ ԱՐՄԵՐՈՒՆԻ

ОТКРЫТА ПОДПИСКА
НА ЕЖЕДНЕВНУЮ ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКУЮ ГАЗЕТУ
КАВКАЗЪ
на 1886 годъ (41-й годъ изданія)

Въ 1886 году газета „КАВКАЗЪ“ будетъ выходить по прежней программѣ и подъ прежнею редакціею ежедневно не исключая и понедѣльниковъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА
съ доставкою въ Тифлисъ. СЪ ПЕРЕСЫЛКОЮ

	по Имперіи	по почтовому союзу
На годъ	11 р. 50 к.	13 р. 18 р. 40 к.
„ полугода. 6 р. — „	7 р. 10 р. — „	
„ 3 мѣсяца. 3 р. 50 „	4 р. 6 р. — „	
„ 1 мѣсяць. р. 50 к	2 р. 1 р. — „	

Подписка принимается исключительно въ Конторѣ редакціи. Тифлисъ, уголъ Головинскаго проспекта и Барятинской улицы. Домъ Ротинава. Для иногор. адресовать: Тифлисъ. Въ Редакцію газеты „КАВКАЗЪ“.

ՆԵՆԱԼԻ ՊՈՑԵՆ

ՔԱՂԱՔԱՍԿԱՆ ԳՐԱԿԱՆԱԿԱՆ

ՔՐԵՄՆԻՆԻ ՎԵՐԻՍՏՆԻՆԻ
ՄԻՍԻԱԿԱՆ

տարեկան 10 ռ.—անհատական.
ՅԱՆԻ ԱՌԻ ՅԱՄԻ

սկզբնական գր. Բարթոլոմայի փողոցի մ. Կ. Բ. Բ. Բ. Բ.